



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 506
06/03/2018

ქალაქი ბათუმი

506-05-4-201803061251



სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 01 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „გეო-გრუპი“-ს შორის 2018 წლის 01 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №31 ხელშეკრულების თანახმად შ.პ.ს „გეო-გრუპი“ იღებს ვალდებულებას M-300 მარკიანი მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდებაზე. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით დასაშვებად იქნა მიჩნეული შეიქმნას კომისია, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების ინსპექტირებას მის აღნუსხვას, ჩაბარების საკითხების ორგანიზებას და საბოლოოდ სამუშაოთა მიღება-ჩაბარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებით საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 01 მარტის №31 ხელშეკრულებისა და მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსის 2018 წლის 27 თებერვლის №571-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდებაზე ინსპექტირებისა და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამაზ მურადიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამაზ ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

დ) რამაზ ვერძაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და

შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ე) ავთანდილ ზოიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში - კომისიის წევრი;

ვ) გიორგი მახაჭაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ზ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი - კომისიის წევრი.

2. კომისიამ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შეძენილი მზა სასაქონლო ბეტონის, როგორც საქონლის, სამუშაოების მოცულობის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანების გაცნობა (მიწოდება) კომისიის წევრებზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

